ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4552180

ნომერი: AR1687863

თარიღი : 14.06.2019

გაცემის თარიღი : 19.06.2019

გაცნობის თარიღი : 19.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , ჩიხი II , N 4 , (ნაკვ.N5/21);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ თურმანიძე პ/ნ 01017022923
- თბილისი გ.ტაბიძის ქ. N 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 მაისის №4491166 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 14 ივნისს №AR1687863 განცხადებით მომართა ზურაბ თურმანიძემ. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2019 წლის

08 მაისის №4491166 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 08 მაისის №4491166 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი, ჩიხი II, N4, (ნაკვ.N5/21) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.09.005.021), სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 08 მაისიდან 2019 წლის 08 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 მაისის №4491166 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საერთო ფართობად 12918.5კვ.მ-ის ნაცვლად 12938.4 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 845.0კვ.მ-ის ნაცვლად 846.3კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1033.2კვ.მ-ის ნაცვლად 1033.1კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2174.2კვ.მ-ის ნაცვლად 2174.5კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 1216.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1234.8კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
2019 წლის 18 მარტის №AR1665086 განცხადებაზე წარმოდგენილია შპს ,,ბოსტონ დეველოპმენტი''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404535446) დირექტორის ბახტიაარ ნაზაროვის მიერ ზურაბ თურმანიძის სახელზე გაცემული 2018 წლის 19 ოქტომბრის მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 მაისის №4491166 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 მაისის №4491166 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 12938.4 კვ.მ, კომერციულ ფართობად 846.3 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1033.1კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2174.5კვ.მ, დამხმარე ფართობად 1234.8 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 მაისის №4491166 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 14 ივნისის №AR1687863 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 მაისის №4491166 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 მაისის №4491166 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.